

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2017 წლის მე-17 მოწვევის სხდომის

დღის წესრიგი:

28 ივლისი, 2017 წელი.

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.  
/მომხს: მაია ჩხარტიშვილი - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/  
/თანამომხს: ხვიჩა ცხვიტარია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი/
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუსიკალური გახმოვანებისა და განათების აპარატურის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.  
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/  
/თანამომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/
3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების - ავტობუსის შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.  
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/  
/თანამომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე  
/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/
5. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/181 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე  
/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/
6. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №15/49 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.  
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/  
/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

7.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

8.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წმინდა გიორგის ქუჩის მონაკვეთის სახელდების შესახებ.

/მომხს: სევერიანე შენგელია - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

